



— ახა ჩვენი ფახით თუ ჩამოვუტანეთ თბილისელვს ყველა-
ფარი, ესენი სოფალუი ჩამოვსვლელაბილა არინან?!

საქსაზო

სახალხო

საქართველო

თოვლის ფაფარი უტოვავთ ახალწლის ცხენებს დაოხილთ: სიმღერით, ლექსით. ღიმილით მობრძანდა ოთხმოცდაოთხი! ჩვენს მტრებს – ღვარძლი და სამსალა, „პერშინგები“ და „მექსები“ ჩვენს ხალხს – ხმატკბილი ღულუნი, სადღეგრძელო და ლექსები! სომ სწორედ შარშან აღმოჩნდა განძი ციხიაგორასი?! სომ შარშან ამოციმციმდა ლაშაში ციფრი „200“! ხან შოთობა იყო და ტბელობა, ხან გარჯობა! სომ ვნახეთ. მუშამ მუშას და გლეხმა გლეხს როგორ აჯობა?! თუმცა ამქვეყნად ათასი წვიმა, ქარი და სეტყვაა. მთავარი მაინც კაცი და კაცის კაცური სიტყვაა! შარშან ვალაღდა ქალაქი! შარშან აყვავდა სოფელი, შინ ბედნიერი წაბრძანდა სტუმარი – თბილისობელი! შარშან არ იყო, მამულში წარსულის მწარე ეკლები შეეცვალეთ წინაპრების და ღვიძლი მოყვრების ძეგლებით? ე. ამაშუველს მადლობა: საქმე ქმნა გასახარებელი! რეკავენ „დედა ენის“ და ქვეყნის დიდების ზარები!

სიყვარულით ვესალმები 60 წლის ეურნალ „დროშას“! მკითხველს დიდი სიხარული ნუ მოაკლოს სურასდროსა! ავტორებს და თანამშრომლებს ვულოცავ და ერთად ვლოცავ: ვესტეები ბერულავა ხუტას – მთავარ რედაქტორსა! სადაც „დროშა“ შებრწყინდება. ყველგან „ვაშას“ ავებებენ! „დროშის“ ტოლი ხდება ხუტა ამ წლის ზუსტად 10 დეკემბერს! ოთხმოცი წლის აგიაშვილს გლოცავ ყველგან – აქაც. იქაც! შენ რომ მიკლავ წყურვილს, ისე მე ვვრავინ ვერ მომიკლავს! მჯერა, მეორითაც წელს მამულში შემოიყვან შენ – მშვენივალ ჩვენი ერის, მშობლიური ჩემი ნიკა! უბერებლობით ანთია ზურაბაშვილი ავლიპი! უკვდავებისთვის ფაქტი აქვს, სიკვდილისათვის – ალიბი! ოთხმოცის გახდა უკვდავთა სწორი კუპრადე ვიქტორი – ნიკის და ერისკაცობის სიდიდე, ანუ ვექტორი! საბჭოთა ქვეყნის სახალხო არტისტო ნანი ბრეგვაძე. უშენსიმღეროდ, იცოდე, ერთი წუთითაც ვერ გაეძლემ! გულით ვულოცავ პრემიას პოეტ მედეა კახიძეს! ხალხს მისი შემოქმედება ატკბავს, ამხნევებს, აფხიზლებს! ვულოცავ მიშა მიქაძეს – სპეტაკ და მებრძოლ პუბლიცისტს – კაი ყმას, მურიცხელებ ანტიპოდს ყველა ცუდი ყმის! ნეტავ, ვიცოდე, თუ ზრუნავს თავისი მსგავსი დუბლისთვის! მინდა ვთქვა ქება წმინდანი მწერლის – აკაკი გეგაძის: 60 წლისთავს ზეიმობს, პაემანი აქვს ზეცაში! იუმორით და სატირით ხშირად ამშვენებს ჩემს ფურცლებს! მე – ერთგულემა, ას ოც წელს – მიხალგობა შეპოვცა!

მე მშვენიერი მხატვრისა, მალაზონია ნოდარი, ჩემი მთავარი მხატვარი და ჩემი შემამკობარი. გასულ წელს გახდა სახალხო!.. გამოფენა აქვს მავარი!.. ნოდარის წინსვლა მოწმდება ჯილდო-პრემიის რაღარით!

ჯერ უნდა ქება წარმოვთქვა ქართველი ძიუდოისტის! ჩოგბურთი? – ვერა, ძვირფასო, ჩოგბურთი ცოტას მოიცდის! თბილისის დინამოელებს (საპრიზო ადგილს ვინ ითხოვს?!). შორს გაუვარდათ სახელი, რომ არ გავარდნენ, იმიტომ! ჩვენდა იმედად, ნუგეშად, დიდებულ დავით ყიფიანს უფროსი მწერტინელის უღელში დღეს თავი „გაუყოფი“!.. საზრუნავი აქვს ათასი, საფიქრალი აქვს ათასი!.. ჩემპიონობა და თასი! – აი, მიზანი დათოსი! ბათუმელ ფეხბურთელების სპორტულ გმირობით გავბრუნდით!.. სპორტის ოსტატის წოდება კუთვნიან მთელ გუნდს!.. წყალბურთშიც!..

მწერალზე, გამომცემელზე, კაცურ კაცზე და ჯიჯიგზე – უნდა სიტყვა ვთქვა გურამზე! (გურამი! გ. ფანჯიკიძე!). სულაკაურის წყალობით კვლავ ამოვიდა „მნათობი“! „მნათობს“ ვერც ერთი უნიჭო ვერ ეკარება სათოფედ!

ახალი ბასრი ეშვები ამოუვიდა „კრიტიკას“ (არ შეეშალოს რაიმე – ახლაც „კრიტიკის“ რიდი მაქვს!). ვინც შექმნა „წიგნი ფიცისა“, ამა. მათ – ლექსი ფიცისა! ქება ა. ხალუქაძის და გიგა ლორთქიფანიძის!

მათ, მცოდნეთ ჩვენი წარსულის ქიცმაყურის და ქიციხა, მადლობა ჩვენი ცისა და მადლობა ჩვენი მიწისა! შატბილსაც მისწვდა ეკრანი, შარშან გადაჭრა ორწყალი! „ტელევიზორით ვიპოვი, მტერ სადმე თუ ას ცოცხალი!“ თერჯოლის შამანურები შარშან არ მოსკდა მორვეად? ტბილსაც და ნახევარტბილსაც მწვანოლით უნდა მორვეა! ანზორს – ნახევრად ტბილისთვის – ნახევრად ტბილი შაირი! ვიცოდით, ვარჯა ამდენი უბრალოდ რომ არ ჩაივლის! მთარგმნელთა შტაბი უბადლო შარშან შესრულდა ათი წლის! მიკვარს, ამდენი ენიდან თარგმანებისთვის, სად იცლის! ხეა მსოფლიო მწერლობა. ყოველი ენა ტოტია, და ხესთან ხელში სარწყავით დგას წელსაც ოთარ ნოდია! მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, ოთხგზის ჩემპიონს კავშირის – მე ვაქტლდემტოებ ნონს და ვამაყობ ვაფრინდამვილით! მიყვარს ქალაქში დანახვა კვარაცხელია გუნაი, სუთ შეილთან ერთად როდესაც გაიხიერნებს ქუჩაში! ქართველ დედების ჭირიმე, შეილები რომ ჰყავთ ათ-ათი! სამშობლო მათი წყალობით უკვდავებაში ვადადის! ნოდარ დუმბაძე, ქვეყანა დალოცე გურულ კილოზე! ჩვენ შენს დიდ გულზე ვილოცებთ. შენ კიდევ ჩვენზე ილოცე!

ქეთის ჯობდეს ვინმე ქეთი. ანუ იყოს უქეთუსი? არ არსებობს ქეთი ვინმე, ქ. დოლიძის უკეთუსი! – მოილია სამეგრელო, თუმ-ფაშა-გურია და რაჯა და მსოფლიოს კინოებში ნაყინსა ჭანს უკვარანა! ძველი დედაქალაქია, უნდა მეთქვა მცხეთა თავში! მცხეთის პატრონს, მის მოურავს, გაუმარჯოს ვცადაშვილს! შარშან ასლანიკაშვილა მიატოვა ღვიძლი ფერი! – ქუთაისში ვადაბრძანდა და იქვე წემსდ ატმოსფეროს! („ტორპედომ“ და მისმა მწერტინელმა – ამთავითვე, დროა ხანამ – სთხოვონ მურად წიგნივაძეს გუნდის უკან ვადმოყვანს!)... რაც სიკეთე იმედაძემ გაუკეთა სამტრედიას, – ამ რაიონს თამაზაძე, ალბათ, არც მოლანდებია!

სეანურ ყანწით ვადღეგრძელებ რაინდ სოსო კარტიოზას! დღეს მეხტობის რაიონში, მასზე ზევით, მარტო მზუა! საარალიძის ენერჯია და ბორისის პათოსი აქვს! წარბს წამითაც არ შეიხრის უბმის სამში ქარ-თოვლშია!..

ჩიხნატაური – ხალხგამრჯე, ხალხგულადი და პურადი – უკვე ზედიზედ იმარჯვებს ერქომაიშვილ ზურაბით!

სუთი მილიონ ცხრაას ცხრა – ელავს და ტოკავს ნაძიხსე! ზ. სოტკილავე, ძვირფასო, მრავალფაშო დაგვიწყე! ვაშა პარტიის, ომის და შრომის სუყველა ვეტერანს! ჩვენ მათგან ვსწავლობთ გმირობას, შრომას, ბრძოლას და შეტევას!..

იცოდეს მთელმა ქვეყანამ: თავს არვის დაჯაბანინებთ! მრავალფაშო, სამშობლო! დიდება! მრავალფაშო! – ფარა გვიმრავლოს მამულში! მწევესი გვიცოცხლოს კეთილი! სულ მტკიცედ იდგას ქვეყნის და ჯანსუღის რწმუნის კედლი! ძვირფასი ნინო სალია დიდი ქართველი ქალია! სიცოცხლე მისი – კალა! პარიზი – მისი კალია! ვულოცავთ კალე სალიას აკადემიის წევრობას! – აკადემიკოსს ამნაირს კვლავ ბევრს ვუსურვებთ ევროპას!

შარშან ბევრჯერ გავიმარჯვეთ, წარმატება გვექონდა ბევრი, ბევრჯერ ვწაქეთ საზვიმო, სამშო მრავალფაშო! საქართველოს მშრომელების გმირულ შრომას, შემართებას პარტიამ და ხალხმა მისცეს უმაღლესი შეფასება!

ვაშა ყველა ერთგულ მშრომელს – საქართველოს ხიამაყეს! მშვიდობის მშვე, შენ გვეფინე, გზები გაგვიხარდა!

შარშან მეც გადავიხადე იუბილე სამოცი წლის, ჯილდოების რთველი მქონდა, რთველი მართლაც დალოცვილი! უდიდესი ზრუნვითა და ყურადღებით გამოვბრწყინდი! დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ყველას, ვისაც არ მოეწყინდი!



ნახ. ზ. ფორჩაძისა



— მაგ ტკბილეულის ნაცვლად სარემონტო მასალები რომ მოგეტანა, მეც ტკბილად გავითენებდი ახალ წელს!

ახალი თბილისური ზღაპრები

იყო ორი ონკანი, ერთში არასდროს არ მოდიოდა ცხელი წყალი, მაგრამ მეორეში დილა-საღამოობით თქრიალებდა ხოლმე რძისფერი, თეთრი სითხე!..

ერთ მშვენიერ დღეს, 1984 წლის პირველ იანვარს, ორივე ონკანიდან, დილის 12 საათამდე იდინა როგორც ცივმა, ისე ცხელმა წყალმა!

წყალი იქა, ქლორი — აქა!

დგვოდა 1984 წელი. გლდანის, თეშისა და მუსიანის დასახლებათა თითქმის ყველა ბინაში რადიატორები ისე იყო გახურებული, რომ მობინადრეებმა თბომეურნეობის სამმართველოში იჩივეს: ბი-

ნებში ისე ცხელა, შიგ გაჩერება აღარ შეიძლებაო! გათბობის მუშაკებმა მეორე დღესვე დაუწიეს საქვაბეში წნევას. მას შემდეგ ბინები ნორმალურად თბებოდა. ცხოვრობდნენ თბილად და ტკბილად.

სამი ახალგაზრდა შევიდა თბილისის ერთ-ერთ სალობოში. მზარეულ-მებუფეტგზ მათ ქინძით, ნიახურით, ნიგვზით, ძმრით, ნივრით, წიწაკით, ქონდრით, ტყემლითა და დაფნის ფოთლით შეკაზმული, ცხელი, სურნელოვანი ლობიო, მჭადები, პრასისა და წიწაკის მწნილი მიართვა. ისაღიღეს გემრიელად.

პირი კაცი ქალაქის ერთ ძველ აბანოში შევიდა. საკეტი მოშლილი არ იყო და კარი ჩაკეტა. კარებს ჭურჭრები არ ჰქონდა და ზედ გაზეთი აღარ მიუკრავს. გაიხადა, ჩაყო ღუნები ახალთახალ გაკრიალებულ ხის ქოშებში, დადგა შხაპის ქვეშ და ნორმალურად დაიბანა, არც სინათლე გამორსულა, არც ცხელი წყალი შეწყვეტილა, არც ნესტისა და სიბინძურის სუნს შეუწუხებია, არც მოლიპულ იატაკზე დასცურებია ფეხი, არც კარზე ვინმეს დაუბრაზუნებია, ისე გამოვიდა საშხაპიდან, აიღო აბანოშივე შეძენილი, გაქათათეზული, გაუთოებული, განამბეული ზეწარი, შეიმშრალა ტანი და ჩაიცვა. იქვე, სარკესთან, თმა დაივარცხნა და გარეთ გამოვიდა. ის კაცი დღესაც ცოცხალია, დაღის იმავე აბანოში და ცხოვრობს ბედნიერად.

მეტად ახირებული, ჯიუტი და დაუჯერებელი ჭაბუკი ამხანაგებს ენაძღვევებოდა, გინდა თუ არა, სახინკლეში ნამდვილი, ნატურალური ქაბაბი და ხინკალი უნდა გაჭამოთო. სტუმრებმა არ დაუჯერეს, მაგრამ რაღას იზამდნენ? სანაძლეოს ხომ არ გაექცოდნენ? ჰოდა, შევიდნენ ერთ-ერთ სახინკლეში და რა ნახეს: როგორც ქაბაბში, ისე ხინკალში, პურზე მეტი ხორცი იყო ჩატენილი მწვანილებიანად!.. გიყვარდეს, რაც იმათ მადიანად ისაუზმეს!..

ტაქსის მძღოლმა მთელ დღეს ისე იარა-ქალაქში, რომ გზაზე არსად ორმო, თხრილი, ოღროჩოღრო, გუბე, წუმბე, ღია სანიაღვრე ჭა და გაჭრილი არხი არ შეხვედრია. დაბრუნდა ტაქსომოტორების პარკში უზნებელი და კმაყოფილი.

ორი ქოსატყულია დამობილდა და სანაძლეო დაღეს, ვინ ვის უფრო მოატყუებდა.

— მოდი, მე ვერაფერს ვიცი, ფონში ჩავაგდე. ორკაპიკიანს და რამდენიც ჩაქდალოს, იმდენი თუმნიანი გადამიხადე, თუ არადა, მე გადავიხდი! — უთხრა პირველმა ქოსატყულიამ მეორეს.

— მე კი ტაქსში ჩავჯდები და რამდენ კაპიკსაც მძღოლი ხურდას არ დამიბრუნებს, იმდენი თუმნიანი მომეცი! — პირობა წაუყენა მეორემ.

შევიდნენ ტელეფონ-ავტომატის ჯიხურში. რამდენიც ჩაგდო პირველმა ქოსატყულიამ ორკაპიკიანი, იმდენჯერვე დაუკავშირდა აბონენტს. რაღა უნდა ექნა? — წააგო ხუთი თუმნიანი!..

ჩასხდნენ ტაქსში. მძღოლმა ზუსტად, კაპიკ-კაპიკ მიაწოდა მეორე ქოსატყულიას ხურდა. ჩასხდნენ მეორე ტაქსში, მესამეში, მეოთხეში... მაგრამ ზუსტად იგივე განმეორდა, გადაუნდა მეორე ქოსატყულიამ პირველს სანაძლეო. ერთი სიტყვით, არც წაუგიათ, არც მოუგიათ. მას შემდეგ ტკბილად ძმაკაცობენ.

იყო ერთი თბილისური ოჯახი, რომლის წევრებმა სასახლეოდ აკრიფეს რუსთავის ტელეფონის ნომერი და... ჰოი, საკვირველებავ! როგორც ადრე, ამ ეჭვისოდე წლის წინათ, ისე ადვილად დაუკავშირდნენ სწორედ იმას, ვინც უნდოდათ, თან ისე ელაპარაკნენ ერთმანეთს, რომ არც ტელეფონის საზი გათიშულა, ყურმილში არც მუსიკა ჩართულა და არც — სხვისი საუბარი!..

ქალთა საპარიკმახეროებსა და სილამაზის სალონებში ისეთი წესრიგი, სისუფთავე შეიმჩნეოდა, სალონები ისე იყო კეთილმოწყობილი და ყველაფრით უზრუნველყოფილი, რომ პარიკმახერი ქალები როცა კლიენტებს თმებს უღებავდნენ, უშრობდნენ და კრეჭდნენ, სიხარულისაგან თვითონაც იკრიჭებოდნენ. ასეთივე მდგომარეობა იყო კაცთა საპარიკმახეროებშიც!..

ზღაპრების გუდას პირი მოხსნა
ჰანო ბინცაქია



— იჩხუბებს?
— არა, მაგიდამ ხორავს ვერ გაუძლო!

საასალნლო რჩევა-ღარიბებანი მამაკაცებს

ძალიან დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ საცოდავი მამაკაცები! — რატომღაც ქალებზე ადრე ვიხრცებიან და თითქმის ვადაშენების პირზე ვართ მისული! აბა, წარმოიდგინეთ: ჩვენში ყოველ ორ-სამ ქალზე საშუალოდ ერთი ან ნახევარი მამაკაცი მოდის! ქეიფში, მშობლებს რომ ვაღდეგრძელებთ, ათი კაციდან რვა მამა არა ჰყავს! ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ძვირფასი დედები, მაგრამ მამებმა რაღა დააშავეს?! კი, ბატონო, მამაკაცების გამეჩრებებს დაწყევლილმა ომმა შეუწყო ხელი, მაგრამ დღესაც რომ მეტწილად კაცების ქელეხებში დავდივართ სატირლად და ზოგჯერ საქეიფოდაც?! აქეთ ავარიო, იქით ინფარქტო, ვინ ღვინოს გადაჰყავა, ვინ — სკამს და ვინ — ქალებსო! ერთი სიტყვით, ცუდადაა ჩვენი საქმე, კაცებო! ამიტომ, სანამ გვიან არ არის, დროზე მივხედოთ ჩვენს თავს! სომ გაგიგონიათ ბრძნულად ნათქვამი: ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილო?! თუ ვინდათ, რომ სტამბოლის კაიკით იყოთ და დიდხანს იცოცხოთ, დამიჯერეთ მე და არ წააგებთ!

არ გაბრძვიდეთ და სამსახურში არ დაწინაურდეთ!
ოჯახში ცოლს ნუ შეეკამათებთ და სიდედრს უბატონოდ ხმას ნუ გასცემთ!
არ დაიდგათ ტელეფონი, არ დადგეთ მანქანის რიგში, არ დაიწყოთ ბინის რემონტი!
ღმერთი არ გაგიწყრეთ და საგზურით სადმე დასასვენებლად არ წახვიდეთ!
ბაზარში იმდაურის, ქათმების, გოჭის, ნიგვზისა და ხილის ფასი არ იკითხოთ!

სადამ რაიმე უხერხულობა და უწყსრიობას წაწყევლით, ყველაფერზე თვალი დახუჭეთ! (გახსოვდეთ ბრძნული სიტყვები: „არაფერი არ დამინახავს!“ „არაფერი არ მახსოვს!“ „არაფერი არ ვიცი!“)

არ შეხვიდეთ რესტორანში, სახინკლეში, სამწვადეში, პავილიონში, სასოსხეში, ლუდის ბარსა და სასაუზმეში (შედით საჩაივში, სანა-

ყინეში, საპლემენეში და დიეტურ სასადილოში!), არ გაიხედოთ ქალებისაკენ!
არ იყიდოთ ფერადი ტელევიზორი და იმპორტული ავეჯი!
იჯექით ბაღზე და ჭამეთ ტყეშალი, ისწავლეთ თავით წყლის ნაყვა, სწირად დაუკაროთ სხვის წერებზე და იცეკვეთ სხვის დაკრულზე, არ დაიხუროთ ნამუსის ქუდი, შუბლზე ან თავზე დაიდგით ან ცოლს დაადგმევინეთ რქები! მგლის თავზე არ წაიკითხოთ სახარება, ხელის გულზე არავის არ შეუწვათ ერბო-კვერცხი (თვითონ შეიწვან გაზქურაზე!) არ იჭვლიტოთ ტვინი! (ცხადია, თუ გაქვთ!)
ზოგჯერ გაატყავთ რწყილი და გაუფრთხილდით საკუთარ ტყავს, ენით მოიფხანეთ ზურგი და ხიდან ჩამოაგდეთ ყვავი, სხვის თვალში დაინახეთ ბეწვი, არ შეაყაროთ კედელს ცერცვი, კარგი ქენით, ქვაზე დადეთ და წინ ქვა მაინც დაგვხდებთ, დღემი გქონდეთ ათი პარასკევი! არ დალიოთ ღვინო, არაყი, კონიაკი, ლუდი! სვით კომპოტი, ლიმონათი, მანგოს წვენი, პეფსიკოლა, ყავა, კაკაო, ჩაი, ბურანი, მინერალური და ქლორიანი წყალი, იძინეთ სამსახურში!

თუ ვინმემ გაგლანძღათ, გავათხათ, შეგაგინათ, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა მოგაყენათ, მაღლობა გადაუხადეთ!
არ აიმაღლოთ ცოდნის დონე, კვალიფიკაცია და წნევა! აიმაღლოთ ხელფასი, ხმა და ფესხანძლის ქუსლები!
გიყვარდეთ მეზობელი, ის რომ არ გყავდეთ, ვის უნდა ეჩხუბოთ? ვალებისა და მარილების დაგროვებას ფულის დაგროვება გერჩევნოთ!
ექიმმა თუ გაგაფრთხილათ, რომ თქვენი წერეულობა არ შეიძლება, თქვენც ადექით და ნუ იწერეულებთ!
ყოველივე ამას თუ შეასრულებთ, გაძლევთ ასი წლის სიცოცხლის გარანტიას!

გირჩიათ **პან შინვა**

მისი გასატყობი

მესამე

ნაბეჭედი

„სამკრებო“

● „ასტრის“ ტრფიალი გასტრიტიანი გასტროლოგიური გასტრონომიის ასტრონომიულ თანხებს ატრიალებდა.

● ზარმაცტანს საზიარო მოჭერის უიდეა ბაზარში ლაზარესათვის საზარლად საზარლო გამოდგა.

● პაღრემს თავს არ უყვარებდა. ბეკრს რამ უყვარდისს ჰყვარებდა.

● რმტბ ძაღვებს ძაბავს ჭაბა, ბაძავს ბიძას, არც თუ ჭაბანს.

● ფარნას ფურნეში საფირმო ფუნთუშეული ცხვებოდა და ფორე უჭროდ ქდებოდა.

● ფლავისმანელ ფლავიანეს ფლავის ხარშვა საფლავშიც ჩაფლავებულ იქონდა.

● ცოლი ჩაააგარაკ-ჩააბრილიანი ტისბეტედსაუურიანა, შვილები ჩაავოლგა-შიგულ-ჩაატყავისპალტოიანა, თვითონ ჩაათქლიანდა.

ბ. ცინცხალი

„პატრიოტი“

„რატომ წაავო ის ერთი ომი?“

— ძრახავს ერეკლეს და მის სასახლესს.. თვით კი... კრებაზე, დარბაზში მჭდომი, გაკრიტიკების შიშით ცაბცახებსს..

შოთა როშვა

პრთმა მანქანა იყიდა. უცხოური ეწოში რომ გააჩერა, მეზობელმა ჰკითხა:

— არ გეშინია, ეს ძვირადღირებული ავტო რომ მოგაპრონო?

— ამას უყურებ?! — უთხრა მანქანის პატრონმა, — ამით ბედლას ვაბამ, ისეთი საიდუმლო კლიტე აქვს ჩატანებული, ეშმაკიც ვერ გააღებს, 150 მანეთად გაშიკეთა ერთმა. მეორე „სეკრეტი“ ძრავას თიშავს. თან თუ კარს გააღებ ან ფანჯარას შეეხები, მანქანა აყვირდება, კაპოტს ასწევ — აყვირდება, საბარგულს ახლი — უვირის. მოკლედ, კარგი რამეა, 800 მანეთი მიმიცია, ალალი იყოს!

— ვაჰ, კაცი შენ ყოფილხარ და ჰკუაც შენ გქონია! — უთხრა მეზობელმა, — თუ ძმა ხარ, ერთიც მიიხარი, ამოდენ ფულს როგორ შოულობ?! —

— როგორ შოულობო?! რასა, კაცო, ფულსა?! — მანქანის პატრონი ჭერ დაღუმდა, შემდეგ, თითქოს შორეულ ამბავს იგონებსო, დასძინა: — ფულსა, არა?! ჰო, ეგ მესამე „სეკრეტი“!

ოთარ აროზალიძე

● რევიზორს ერთი ნაკლოვანი მხარე ჰქონდა — ნაკლოვანებას ვერ ამჩნევდა.

● ფაცხაში თხასაც ტყავი გააძვრეს და... კლიენტებსაც.

● კოლმეურნობაში ფურები არ ეწველებოდათ და რძის გემას ფულებით ასრულებდნენ.

● მრთამით იცვამდა და თავსაც ქრთამით იცვდა.

● სპემისტების თავის მოქონვით თავი მოჰქონდა.

● მაღაზრის გამგე „მარცხენა“ საქონელმა დაამარცხა.

● რპინიზის სალაროში ბილეთები არ იყო, ვაგონებში კი — მგზავრები.

● ბინების უკანონოდ გამაწილებელი კანონიერად დააბიზავს.


ოთარ ნაჭუჭიანი
(ქ. სოხუმი)

კომბინინიბიობრაფია

კომბინინარად მუშაობდა, კომბინირებული საკვების საწყოების გამგედ გადაიყვანეს, შემდეგ კომბინატის მშენებლობას ჩაუდგა სათავეში, ახლა კომბინატის დირექტორია და ამბობენ კომბინატორიაო.

ამირან გოკელავაძე

ნახ. შ. ლელაძისა



— აბა, თქვენ იცით, ს.ნამ ხელმძღვანელობა არ მოვა, ცეცხლის ჩაქრობას ნუ დაიწყებთ!



მთავარია გამოგონება

ყველაშრის გამოგონება კარგია, გარდა ცილისწამებისა! უმძაყმა უწყის, რა ბედი გვეწოდა, კაცობრიობას თავის დროზე რომ არ გამოგონებინა ცეცხლი, ბინა, საჭმელი, ტანსაცმელი, დაზვა-დახადგარები და ავტომობილები. მართალია, ტექნიკური წარმატებებით გათამამებული ზოგიერთი ავტომობილი მონეტებს უსინდისოდ ყლაპავს, მაგრამ განა კაცი არ ყლაპავს?! ერთი სიტყვით, დიდებული გამოგონება გამოგონება. რა სჯობია, კაცი დიდებულად თავს რომ აკლავს იდეას, ტვირს იტყულებს, ხანავს, ანგარიშობს, რაღაცას იგონებს, ის რაღაცა კი რაღაცა მიზეზის გამო პრაქტიკაში არ იწერება! მერედა, რა მოხდა, რაციონალიზატორული წინადადება მოკლე კაბა ხომ არ არის, რომ ელვისებურად გავცეკვლდეს? — მთავარია გამოგონონ!

თბილისის ელექტროშემდუღებელი მოწვობილობების ქარხანაში 1972 წელს კაცმა რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა. ეს წინადადება იმდენად მოეწონათ, რომ რეგისტრაციაშიც გაატარეს და დაუსვეს № 100. ავტორს ევონა, რომ მანამდე 99 წინადადება დაინერგა ამ საწარმოში. თურმე 100 იმას ნიშნავდა, რომ 100 თვე მინც უნდა გასულიყო, ვიდრე ეს წინადადება დაინერგებოდა. მაგრამ გვემა რაღა გვემა, გადაჭარბებით თუ არ შესრულდა? ზუსტად 120 თვის შემდეგ შეისხა სორცი ამ წინადადებაში. ხედავთ?! ათი წელი მოუნდა მის დაინერგვას! აი წინადადება ამას ჰქვია! ასეთი რთული, გავრცობილი წინადადებები ეტყობა მართლა გავრცელებულია ამ საწარმოში. 101-ე რაციონალიზატორული წინადადება დღესაც, ესე იგი 11 წლის შემდეგაც, არ არის დაინერგული! მაგრამ მთავარი ეს ხომ არ არის?! მთავარია, გამოგონონ!

ამ მხრივ მუდის გამოგონებებს ძეგლი უნდა აუგონ, დღეს ხომ ბევრი გამოგონება ინახება მუდებში.

ინტრიგან ხალხს რა გამოლევს ქვეყანაზე! 101-ე წინადადებაზე ამბობენ, 30 ტონა ლითონს დაზოგავდა, დროზე რომ დაინერგულიყო, ხოლო მე-100 წინადადების დაინერგვით 10 წელიწადში 143 ათასი მანეთი დაიზოგებოდა!

რაც რაციონალიზატორული, ყველა რომ დაინერგოს, მაშინ ყველწინადადება ერქმეოდაო, ქირქილებს ზოგიერთი წარმოების ხელმძღვანელი. მისი გაგებით, „რაც“ ნიშნავს, რაც გვიან, მით უკეთესო. მაგრამ ყველა კი არ ფიქრობს ასე; მუშაობს, ძმაო, ამ მიმართულებით ხალხი, მუშაობს. პირდაპირ შესაშურად აქვთ ათვისებული გამოგონებებისა და რაციონალიზატორული სახელმწიფო თანხები შემდეგ წარმოებებს:

„ანალიზელსაწყოს“ ტექნოლოგიურ საცდელ ქარხანას — 25-40 პროცენტით; ხომ შეიძლება 15-20 პროცენტით აეთვისებინათ? ქარხანა „თბილხელსაწყოს“ — 25 %-ით. განა მადლობა არ ეუთვნით, რომ 24%-ით არა აქვთ ათვისებული? საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელს“ — 60-70 %-ით. ამათვან არც ერთმა არ შეირცხვინა თავი და თანხა 100 %-ით არ აითვისა. აი თავმდაბლობის იშვიათი ნიმუში.

ისე, ცოტა მეტიჩარები კი არიან რაციონალიზატორული წინადადებების ავტორები: რომ შეგაქვს, სად შეგაქვს, რატომ შეგაქვს, ხომ იცი, რომ პრაქტიკაში მინც არ დაინერგება?! ამდენი შეგნება არ უნდა გქონდეს კაცს?! მე შენ ვეტყვი და, წარმოების ხელმძღვანელები თავის გასამართლებელ მიზეზებს ვერ იპოვიან: ხან ამბობენ, ის მასალა არა გვაქვს, რაც წინადადების სორცისხებას სჭირდებაო, ხან სათანადო მოწოდების უქონლობას აბრალებენ ყველაფერს. თუმცა მოციხით, მგონი რაციონალიზატორებმა ჰკუა ისწავლეს: უკანასკნელ სამ წელიწადში, შემოწმებულ საწარმოებში, რაციონალიზატორული წინადადების რიცხვი 131-ით შემცირდა. ერთმა და ორმა კი არა, ორმოცმა კაცმა ჩაიქნია ხელი ამ საქმეზე. აი ხალხი, ჭეშმარიტად უმაღლესი შეგნების ადამიანები, მაგრამ მოუსვენარ

ადამიანებსაც რა გამოლევს ქვეყანაზე, მინც სხედან და იგონებენ!

ოღონდ რაციონალიზატორულ წინადადებებს წამდაუწმნუ შემოიტანთ და იმაზე მეტს გადაგისდით, ვიდრე ერთ წინადადებაზე გერგებათო, ფიქრობენ ალბათ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები და ასეც იტყვიან: ელექტროშემდუღებელი მოწვობილობების ქარხანაში ერთზე 140-ით, ხოლო მეორე წინადადებაზე 288 მანეთით მეტი პრემია გაიცა, ვიდრე ავტორებს ეუთვნოდათ. ახლა კი ნამდვილ ცირკულს ნომერზე უნდა გაამზობთ: ამავე ქარხანაში რაციონალიზატორული წინადადება №42/70 ზარალიანი აღმოჩნდა (თურმე ასეთი რაციონალიზატორებიც არსებულა!). მისი ავტორი კი 32 მანეთით დააჯილდოეს. ახლა წარმოიდგინეთ, ეს რაციონალიზატორული წინადადება ნამეტანი ზარალიანი რომ გამომდგარიყო, რამხელა პრემიას მიიღებდა ავტორი. ამბობენ, მსგავსი ავტორები დღე-ღამე ფიქრობენ ისეთი რაციონალიზატორების შეტანაზე, რომელთა პრაქტიკაში დაინერგვითაც საწარმო, რაც შეიძლება მეტად იზარალებს, რათა დიდი ჯილდო ერგოთ! ყველაფერი ზომა-წონით არ არის ქვეყანაზე?

ტრესტ „აკველქტროსოფმშენში“ პირდაპირ გადასარევი პირობებია რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებისათვის, თუ მათ თანამდებობაც აქვთ. არსებული წესით, რაციონალიზატორების ავტორის გასამრჯელო პრემიასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს მისი 3 თვის ხელფასს! ამ ტრესტის მექანიზებული კოლონის საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსს ს. ვართანოვს კი იმდენი თანხა მისცეს, 7-ჯერ რომ აღემატებოდა მის ხელფასს: 570 მანეთის ნაცვლად 1411 მანეთი! აბა, რიგითი მუშაკი ყოფილიყო?! ეს შეკითხვა ცოტა პროვოკაციული შეგნება: შე კაი დედამამიშვილო, ჯერ თანამდებობა იშოვე და რაციონალიზატორი მერე შეიტანე, გახრჩობს ვინმე?!

ამავე ტრესტში ო. რუხაძეს, 631 მანეთის ნაცვლად, 777 მანეთი პრემია მისცეს. კი, მაგრამ ვინი ჯიბიდან იღებენ

ამ თანხებსო?! — გაუკვირდება ზოგიერთს. დაილოცოს სასულემწიფო!.. ჯერ კიდევ 1980 წელს ელექტროშემდუღებელი მოწვობილობების ქარხანაში № 92/80 რაციონალიზატორული წინადადების ავტორი ელექტროშემდუღებელი მოწვობილობების განყოფილების ხელმძღვანელად აშკარად გაზრდილი თანხა 12.300 მანეთი საწარმოს წლიურ ანგარიშში ჩართეს. მაგრამ ის 25% თანხისა ასეთ შემთხვევაში ხომ სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადაირიცხოს? მრავალ შეკითხვას იძლევი, აკითხველო, ბევრის ცოდნა იდრე დაგაბერებს, მაგრამ მანც ვიპასუხებ: ამ ქარხანაში (მთ. ბულატერი მამულა-შკალი) 1981-1982 წლებში და 1983 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტში არ გადაირიცხა 2633 მანეთი, ხოლო ტრესტ „აკველქტროსოფმშენის“ დავალიანებამ 3 000 მანეთი შეადგინა. რატომ? ჰკითხე მთავარ ინჟინერ ა. იმნაიშვილს, მმართველს გ. სარალიძეს და, საერთოდ, რა ხდება ამ სფეროში, აკითხე ზემოდასახელებული საწარმოების ხელმძღვანელებს— ვ. ლუმსაძეს, ნ. ათაბეგაშვილს, ვ. ენუქიძეს, მ. დედარიანს და სხვებს.

ახლა კი გეყოფა! დაისვენე და დაუყოვნებლივ იფიქრე რაიმე რაციონალიზატორული მთავარია, გამოგონონ! იცოდე, ყველაფრის გამოგონება კარგია, გარდა ცილისწამებისა! ღმერთმა ორივე გვაშოროს!

ნიანგის დავალებით —
გიგა მახვილაძე



რწყილი — პოეტობის მაძიებელი



ბულბულის ხმით რწყილი
დათვრა,
გადაწვივია ბულბულობა! —
ვირს მიმართა, ბატს
მიმართა,
ჭიანჭველას უთხრა ძმობა!..

„ვირო, ვირო, ჩემმა
სატრფომ
შემიკვეთა სონეტით,
ხმა მასესხე, გენაცვალე,
უნდა გავხდე პოეტიო!“

„ოლონდ პოეტი გახდიო!“ —
ვირმა ხმა მისცა ნაღდიო.

„ბატო, ბატო, ბატუნია,
ხარ პირველი ფრთოსანიო!
ფრთა მასესხე, გენაცვალე,
უნდა გავხდე მგოსანიო!“

„ეი ხარ მგოსნობის
ღირსიო!“
ბატმა ფრთა მისცა თვისიო.
ვირის ხმოო, ბატის
ფრთითო,
ჭიანჭველათა კენჭის ყრითო,
რწყილი ახტა, გვერდზე
და პოეტიც უცებ გახდა!..

დღეს ვირის ხმით და ბატის
ფრთით,
ცაში მერანს მიაჭენებს,
პოეტობა ვინდათ?! — კენჭი
აყრევინეთ ჭიანჭველებს!

ნიკა ნამგალაძე



ლამცხევი პოეტი

ერთი ლექსის ისტორია

როგორც იქნა,
როგორც იქნა,
დიდი ბრძოლა-გარჯის
მერე,

ფიქრის მერე,
ტანჯვის მერე,
ჩალიჩის და
ხარჯის მერე,
ხშირი მისვლა-მოსვლის

მერე,
ღვინის მისმა-მოსმის მერე,
მალა-მალა რეკვის მერე,
ზედ სუფრაზე ცეკვის მერე,
სწორების და რანდვის მერე,
რიღისა თუ ხათრის მერე

დაიბეჭდა „ენ“-ის
ლექსი! —

იმ ლექსს მოჰყვა,
როგორც წესი,
განგხადება
ბარე ექვსი:

„წელიწადი
თითქმის გადის,
რაც მწერლობის გზაზე
შევიქე,
გთხოვთ, მიმილოთ!..
გთხოვთ, დამნიშნოთ!..
გთხოვთ, მომცეთ და...“
ასე შემდეგ...

წლის მერე კი
„ენი“ თხოვნებს
ერთი დღითაც
არ აყოვნებს:

„გთხოვთ, გამოსცეთ,
ზეტირაჟით!

ჩაწოლისა არ მაქვს შიში!
მე კი არა,
ჩემს მკითხველებს
გაუწიეთ ანგარიში!

გთხოვთ, ბავუბში მომცეთ
ბინა,
რადგან ვიტან ხმაურს
ძნელად!

იყოს საშოთახიანი,
კაბინეტის ჩაუთვლელად!

გთხოვთ, მომიწყოთ
ლიტხალამო,
ბანკეტისაც არ მაქვს შიში:
განა — ჩემსას,
ხალხის თხოვნას
გაუწიეთ ანგარიში!

ერთი თვეა, ცოლი მყავს და
უკვე ცრემლებს
აღვარღვარებს!..
ყურად იღეთ ჩემი თხოვნა
და გაგვიშვით
სახლვარგარეთ!“

... კიდევ გადის
წელიწადი,
ალარ ვიცი, სად შევჩერდე:
„გთხოვთ, ავეჯი!..
გთხოვთ, მანქანა!
პრემია და...“
ასე შემდეგ...

იცის „ენმა“ — საიმედო
საფუძველი უნდა მყოფადს.
აი, სწორედ ამას ჰქვია
ერთი ლექსით უკვდავყოფა!

ოთარ შალაგაძე



კრიტიკოსი

ლექსებს ვწერდი, მაგრამ სიტყვებს
ვერა ვდებდი ლაგამს!
როცა მივხვდი, ტვინის ჭყლეტა
რომ ამაო გახლდათ, —

კრიტიკოსად მოვინათლე,
იყოს ღმერთის ნება!
ზოგჯერ ცუდი ღვინისგანაც
კარგი ძმარი დგება!

ინგლისურიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

ყურმოკრული დიალოგები

— მეზობელი შენი, მართა, რად აღარ ქსოვს ან არ ართავს?
 — რისი ქსოვა, რისი დართავა? — უკვე წელში გაიშრათა! — თეთრი „ვოლგა“ უდგას კართან, ჩაჯდება და საჭეს მართავს!..

— რად ხოცავენ გოჭ-ინდაურს, რატომ აცხობს ნაზო ქალებს?
 — დირექტორი პედსაბჭოზე მის გაკვეთილს აზოვადებს!

— რატომ ყიდის გამყიდველი დახლს ქვემოდან ახალ პურებს?
 — მყიდველმა რომ არ მოსთხოვოს ხურდა, — ის რომ ახალტურებს!

— რად აფასებს ასე ძვირად თავის პროდუქტს ვიგო ძია?
 — განა მართლა თავისია, შექმნილი ნივთია!

— ასე ხშირად მივლინებით რატომ მიდის რაჭას ნიკო?
 — მამამისის თავანკარა ღვინოების საჭაშნიკოდ!

— ნეტა რისი მაქნისია, რას აკეთებს აქ ერისტო?
 — რას და.. დადის, ძველბურად ყალბაზანდობს, აფერისტობს!

— რას ანიშნებს თავმჯდომარეს, რატომ იქნევს ვასო ხელებს?
 — დაუკარგა შპარგალა და მდივანს ვეღარ ასახელებს!

— ფიზიკაში რად ჩაიჭერ, ძნელი შეგვგდა განა თემა?
 — არა, მეგრამ იმ ოთახში არ ვარბოლა განათება!

პიიგაუიეიი

გამომკალველისა

წანადლეტი ფული იყო შემოსავლის ჩემის წყარო! უამკითხველო, გთხოვ, ცოდვები შემინდო და შემეწყნარო!

საკაუალანტისა

აქ მშვიდად ვარ, განცხრომისთვის თავი ჩემი მიმიცია! ფინგანი ხომ ვერ მომაგნებს, ვერ მომნახავს მილიცია!

ზოგირათი გამყიდველისა

ნეკი ვწონე, ნეკი ვყიდა, მიიდველები ვაღვიკიდე და ნუ გიკვირთ, თუ საფლავეში, რაც დაუთესე, იმას ვმკიდე!

თინა ფითელაგველი



უსიტყვოდ

ნიანგს უპასუხებენ

პორჯომიდან მოქალაქე ჯემალ ხუციშვილი გვწერდა: ვიწექი თბილისში, რესპუბლიკური საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა განყოფილებაში, სადაც, საცვლად განკურნებისა, უარესად დამაავადეს. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ აღარ მიმუშავია...

აღნიშნული წერილი ზომების მასალებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საიდანაც გვაცნობეს: „წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ავადმყოფ ვ. ხუციშვილის მკურნალობის პროცესში დაშვებულია სარვეზეზი, რისთვისაც ქირურგ ვ. იორამაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყუადური, ხოლო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის კათედრის კლინიკური ორდინატორის ვ. ქარელია საკითხი სათანადო რეაგირებისთვის გადაეცა ინსტიტუტის რქქტორატს. ყელ-ყურ-ცხვირისა და ჩირქოვანი ქირურგიის განყოფილებათა გამგეებს მიუთითათ და დაეუკლათ მკაცრი კონტროლი დააწესონ ავადმყოფთა მკურნალობის სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ხარისხის გაუმჯობესებაზე“.

აბაშის რაიონის სოფელ ქოლობნიდან გვატყობინებდნენ, ადგილობრივი სატელეფონო სადგური და რადიოგვანძი ცუდად მუშაობსო. ამის შესახებ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროდან გვიპასუხეს: „სოფელ ქოლობანში ელექტროქსელების სახაზო მუშუნეობის ავარიული მდგომარეობის გამო რადიოსატრანსლაციო ხაზების შემდგომი ექსპლოატაცია შეუძლებელია. ამჟამად მიმდინარეობს ელექტროქსელის სარკონსტრუქციო სამუშაოები. რაც შეეხება სატელეფონო კავშირს, ოცნობრივად, ძველი კონტრატორი შევცვლილა ორმოცდაათნობრიანით. აბაშა — ქოლობნის შემავრთებელი ხაზის გაზრდა ჯერჯერობით არ ხერხდება, რის გამოც რაიონის ცენტრთან დაკავშირება ჭირს. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო ატარებს ღონისძიებებს ნორმატივებით გათვალისწინებული შემავრთებელი ხაზების გაზრდისათვის“.

მოქალაქე ვ. ცქიტიშვილმა რედაქციას მოსწერა, რომ ზუგდიდ — თბილისის მატარებლის მოძრაობის გრაფიკი უხეშად ირღვევა. ამის თაობაზე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო გვწერს: „ზუგდიდ-თბილისის“ მატარებლის დაგვიანების ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. რკინიგზის საგზაო განყოფილების სადისპეტჩერო აპარატის მუშაობაზე კონტროლის შესუსტებისა და მატარებლის მოძრაობის გრაფიკის დაბადლონეზე დაცვის გამო სამტრედიის განყოფილების უფროსს ვ. ბაციკაძეს და მის მოადგილეს ვ. ზაქარიაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყუადური. დასასულია ქმედითი ღონისძიებანი მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის“.



პატრონი უმინაო!

26.1
№ 32
საქართველო
1948
ცალი

პართული ხალხური იუმორი

— თქვენ რა გქვიათ, ბატონო?
— მემპოსსე!
— მეც მოსე მქვია, მაგრამ მე სივრძე რომ არაა?

კაცი პატარა ბავშვით ქუჩაში მიდის. შემოუყარა ნაცნობი. იგი ბავშვს მოუფერა, კანფუტი მისცა.

ბავშვმა ქალაქი სასწრაფოდ შემოაცალა და ხარბად დაიწყო ჭამა.

— შეილო, — ჰკითხა მამამ, — რა უნდა უთხრა ძიას?

— კიდე მომეცი!

კახელს ჰკითხეს:

— ყავას დალევთ?
— სანაძლოს გააჩნია!

კაცმა ორიგინალური კონსტრუქციის მტვერსასრუტი გააკეთა, მაგრამ პატენტი ვერ აშოვა. ვიღაცამ უთხრა: წამოდი ჩემთან, ტუალეტის მიღში რაღაცა გაიჭედა, თუ იმას ამოიღებ, პატენტს მე გამოვნივებო.

ნახ. დ. თოთიბაძისა



უსიტყვოდ

წავიდა. ჩართო პირველ სიმძლავრეზე, არაფერი გამოვიდა.

— არ ვარგა! — თქვა მუშტარმა.

ჩართო მეორე სიმძლავრეზე. ცდა უშედეგო გამოდგა.

— არ ვარგა! — თქვა მუშტარმა.

ოსტატმა შესაბამე სიმძლავრეზე ჩართო. აღმუკლდა მტვერსასრუტი და... უნიტაზზე გაჩნდა კაცი გაზეთით სელში.

— მეზობელო, აქ საიდან გაჩნდი?

— რა ვიცი, კაცო, ტუალეტში შევედი, გაზეთს ვკითხულობდი..



პარბი მომღვინე ქუთაისელი ფორჯიკა ხაჭოს და არაქანს მიირთმევს რესტორანში.

მეზობელი სუფრიდან მეგობარი ეძახის:

— ფორჯიკო, მე უბედურო, ფული თუ არ გაქვს, მოდი ავერ და ჩვენთან იქეიფე!

— ფული რაღა არა მაქვს, მაგრამ ექიმმა დიეტაზე დამსვა.

— მერე რა მოხდა, ბიჭო? მეც მასე ვიყავი და ჩავაწყვე.

— რაფერ?

— ექიმს ასი მანეთი მივეცი..

სვანი მეორე თმეტე სართულიდან ჩამოვარდა. ატყდა ალიაქოთი, შეგროვდა ხალხი.

ვიღაც გამვლელიც ხალხს შეერია და სვანს კკითხება:

— რა მოხდა, რა ამბავია? ექიმსუნი
— არ ვიცი, მე ახლა ჩამოვხტე, ჩემი თმეტე სართულიდან და არაფერი გამიგინა.

ლუდხანაში

— ლლუ-ლლუდი გვაქვთ?

— გვა-გვა-გვაქვს!

— ცციცი, ცციცია?

— დდდიდახ!

— დდდამისხით!

შემოდის მეორე მუშტარი:

— ლუდი არის?

— არის!

— ციცია?

— დიახ!

— ერთი ჭიქა!

გაბრაზებული ენაბლე მუშტარი გამყიდველს მივარდა:
— შშშენ, რრაა?! მშმასხარად მმიგდებ?!
— შშშენ არა, კკაცო! იიიმშმას!


კახელი მიმართავს გამყიდველს:

— ეგ ვარმონი მამყიდე!

— კახელეზე არ იყიდება!

— საიდან იცი, რომ კახელი ვარ?

— ეს ვარმონი კი არა, რადიატორია!



ფრანგი ფორჯი, ინგლისელი ჯორჯი და კახელი ვიგა უპაცრიელ კუნძულზე გაიწივნენ.

ვიგას ტიკტორაც გადაურჩენია (თუ ტიკტორას გადაურჩენია ვიგა) და ახლა კუნძულის სანაპიროზე ფრანგსა და ინგლისელს უმასხინძლდება.

მოცურდა ოქროს თევზი: სამივეს თითო-თითო ნატვრას შევისრულებთო. ფრანგმა პარიზი ისურვა და გაფრინდა სუფრიდან, ინგლისელმა ლონდონი მოინდომა და ისიც ფრანგს მიჰყვა.

— შენ რაღას ისურვებ? — ჰკითხა ოქროს თევზმა ვიგას.

— ოქროს თევზო, ი ფრანცუზი და ინგლისელი ესლავე აქ მაიყვა! სუფრიდან თამაძი უკითხავად რო წავიდნენ, ეგ როგორ შაიძლება?!

... ამბობენ, ფორჯი, ჯორჯი და ვიგა ახლაც იმ კუნძულზე არიანო!



„ლუსტრაციები“ ჯ. ლოლუასი

7-89

84-32

ნ.ბ. შ. ლელაძისა



სატირისა და იუმორის ყურ-
ნალი „სიანგი“ № 1 (1659).
იანვარი. გამომდის 1923
წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი).
ჭაბუკა ამირჯიბი, ნომად
ბარათია, ბორის გურგუ-
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-
ვაზ თვარაძე, ჯემალ ლო-
ლუა, ნოდარ მალაზონია
(მხატვარ-რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია,
ბენან სხიარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფივაძე, ნაფი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 9. 12.
83 წ. ხელმოწერილია და
საბეჭდად 11. 1. 84 წ. ქა-
ლაღის ზომა 60x90 სმ.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი, 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბანი 1,7. სა-
ქართელოს კვ (კვ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14
შეკვეთა № 2813. უფ 06409
ტირაჟი 138.300. ჟურნალ
გამომდის თვეში ორჯერ
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008
თბილისი-8 რუსთაველის
ბროსპექტი № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42. პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38. გან-
ყოთილობათა გამგეობის —
93-49-32. რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38
მდივან - მემანქანის —
99-76-69.

სატირის - юмористиче-
ский журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии. Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
05დგნი 76137



ბუმერანგი

